ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 28
28/09/2018

28-08-4-201809281710

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა. დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
შემოღებულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება.

მუხლი 2.
დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესი დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 3.
დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის მოწმობა დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 4.
ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის #9 დადგენილება.

მუხლი 5.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა